

# საქართველოს განათლების უნივერსიტეტი

ცლადის დამატება

გაზეთის № 298.

გვირა, 8 მაისი 1911 წ.

დამატების № 52

## ზე - კაცი

ხელავ, ა იმ ცას მოქარებულს. ხედავ იმ მოებს, იმ ბილიკებს,  
იქ ნავი მსუბუქის ფრთით მთის ნაკალულს ალიკლიკებს;  
იქ მზის შუქი, სხივთ-კუნწულა, ისე კოხტად გადაშლილა,  
ვით მიჯნურის ტუჩხედ ღიმი, ვით წალკოტში ვარდ-ბილილა!..  
იქ ოცნება ფრთას შლის, ლალობს, იქ არ არის ცრემლი სევდა;  
იქ გვდის ფრთით ანგელოზი, ერთ დროს, კოცნას მოაფრქვევდა,  
იქ ცქრიალებს თოვლის ფიფქი ისე ნაზალ, ისე ნელა,  
ვით პეპელი, ვით პეპელა.

ბრძოვ! მე ზე-კაცს ვერას მავნებს შენი ცრემლი, ზიზლი, რისხვა;  
შენ ვერ იცნობ ჩემს სულის ღმერთს, შენ სხვა გზა გაქვს; მე კი სულ სხვა;  
ნაზ-ოცნებით შექმნილ ჩემს კოშკს თუ ჩაჭერლავთ გესლის ქვებით,  
უგუნურნო, მაშინ თვით თქვენც იმ ნანგრევებს ქვეშ-მოჰყვებით!  
ვისი მუზაც დაბლა ხოხავს და ღრუბლამდე ველარ ადის,  
ის ვინც მსხვერპლად გაჩენილა, ის ვინც სტირის, სტირს მარადის,  
ის ვერასდროს ვერ მიხვდება, ის ვერასდროს ვერ გაიგებს  
მგოსნის ჰანგებს, მგოსნის ჰანგებს.

ი. გრიშაშვილი.

## საზოგადოება!

ერთი მრავალობაგანი ამბები

(ზემდეგი \*)

— ნუ თუ შენც კვიცი მოგჩინჩალებს ხოლმე უკან? შეეკითხა ვანიკოს სეიმონი და თან საშინლიდ გადიხარხარა.— ყმაწვილი თავ-მობწონე კნიაზი ფაშატ ცხენზე და უკან კვიცი ხა, ხა, ხა! რა სასაკილოა, რა კომედია! ხა, ხა, ხა!

— მართალს ბძანებ, მართალს! ახალი გამოფხიზლებულივით შემყვირი ანიკომ.—ჩვენ ყველაფერში გამოწყვეტილები ვართ. თავის დღეში ერთი რიგიანი კაბა არა მცმია, ერთ რიგიან „ვეჩერში“ არსად ვყოფილვარ, ტანკაობა კი არა, რუსული ლიპარაკიც კი დამავიწყდა ამ ოხერ სოფელში!

— ოჳ, ოჳ! რა საშინელებაა, რა საშინელება!— შეკუკირია ჰაფონით სვიმონბა.—მშვენიერი, ყმაწვილი არსება, ჰანსიონში გამოზღიული კეკლუცი და ლამისყანაში დატყვევებული ნესტან-დარეჯანივით!

— მაშ რა ვქნით?—ამოოხვრით დაუშატა ვანიკომ—უკითხესი ცხოვრება სიღან გავიჩინოთ? უეჭველია, მეტი შე-



6. გოცირიძე, — მისი სასუენი მოვლენაწეობის 15 წლის  
იუბილეის გამო.



ნ. გოცირიძე, — სტეფან მამარიჩის როლში.  
(„კიშპირელი“).

მოსაფელი არა გვქონია, თორებ მამაჩემიც არ იტყოდა უარს  
ბედაურებზე.

— შემოსავალი, შემოსავალი! რა არის სოფლის მამუ-  
ლის შემოსავალი?! ვინ სცხოვრობს მამულის შემოსავლით? შემოსავალი კი არა, თოთონ მამული უნდა აქციოთ ფუ-  
ლად! კვლავ შესყვირა სვიმონმა. — ხუთი ვენახი, ხუთასი  
დესეტინა, ტყე, საზავი და სათბიბი ველები, განა ოქროს  
სადენი წყარო მა არის? (ბაადურიშვილს ფაშატი ცხენით  
არ ეყადრნა მეზობელ თავადებთან „ვიზიტებით“ ხლება,  
მაგრამ კუკნიანთ მამულის საზღვრები და რაოდენობა კი  
კარგად შეეტყო, ვითომდა მზარეულის, ხეპრე პაპუნას და-  
მარებით და კვიციანის რაშით იმ დილით, როდესაც თვით  
მექვიდრები ჩვეულებრივ დილის ძილს მისცემდნენ). — აბა მამული ფულად როგორ უნდა ვაქციოთ? შემოსავა-  
ლი როგორ უნდა გავადიდოთ? დოკუმანიასავით წამო-  
ყრანტალა ვანიკომ და თან დიდის ცნობის-მოყვარეობით  
დაუწყო ცქერა გულშემატკივარ ნათესავს.

— როგორ ვაქციოთ მამული ფულადი? — როგორ აქ-  
ცევენ ხოლმე ათასი და ათი-ათასი? თუ სხვა არავინ ვინა-  
ხავთ, თქვენი სახლი კაცი გოგია მანც დაინახეთ ბანქში  
დაგირავებულ მამულით არ ააშენა ის შვერილი დღვირე-  
ცი? იმითი არ გაიჩინა ეკიპაჟი, ცხენები; იმიღი არ გაათ-  
ხოვა თავისი ეძმები გადასული ასული? ორი ზამთარი გაატა-  
რია მთელმა ოჯახმა ქალაქში და არც ერთ დამეს არ და-  
კლებია თქატრს. ოპერა, თუ დრამა, თუ ქართული წარ-  
მოდგენა, — ყველაგან პირველები იყვნენ; თქვენი ბიძაშვილი  
ნადია ისე იყო ხოლმე ჩამული, როგორც პარიზელი ტი-  
კინი იმისი დონდროხა ტანი, ერვის შეკერილ კაბებში ისე  
იყო გამოკლაკნილი, როგორც საროს ტანის ასული. ოხ,  
კნიაგნა, თქვენ რომ მოდაზე იცვამდეთ, რა რიგ გაბრწყინ-  
დებოდა თქვენი სიმშვერიერე! რამდენი კავალერი გაიჩნდე-

ბოდათ, რამდენის გულს აათაროლებდით, რამდენს ქალს  
დაუყენებიდით შურით თვალს. ოჟ, ოჟ! კნიაზო სიმონი  
რეებს მიბძანებთ? ხელების მტკრევით დაიკლაკნა მადაზე  
მოსული ანიკო. — განა მე მელირსება როდისმე ქალაქის ნახ-  
ვა... თეატრი?

— შენი ქამარ-ხანჯალი, ქუდი, ხომ რაღაც უშნო  
და მამა-პაპური უმისა! — ახლა ვანიკოს მიუბრუნდა გემოვ-  
ნება გახსნილი სტუმარი და თავით ფეხებამდე ჩაათვალიერა  
ვანიკოს უშნო, ჩიჩულია ტანი და ცხვირ-ჰირი, იმისი ჭუჭ-  
ყიანი ყომრიალი ჩოხა, სოფლის ხარაზის შეკერილი მესტები,  
ცხენის მოსართავეს მგზავრი შავი თასმის ქამარი და განა-  
გრძო: — გოლოვინის პროსპექტზე ისეთი ჩოხების მკერვა-  
ლია, ისეთი, რომ ყოველ უშნო ადამიანს ალვის ხე  
დაგვანებს.

ი ჩემი ჩოხა, ორი წლის შეკერილია და მანც, ხე-  
დავ, რა გამოწყობილია წელში? გეგონება კაცს კორსეტი  
ჩაუკვამს! და თან კეკლუციად მიტრიალ-მოტრიალი  
სიმონი.

ასე და ამ რიგად ააღლეა ბაადურიშვილმა წევნი ჩუმი და  
წყარი და-ძმა და მით საწყალ თავებში ათასი ბრწყინვალე  
წარმოდგენილება ჩასახა. ამ დღიდან იმათ გვამში დაისაღ-  
გურა სატანამ მოუსვენრობისამ და ყოველივე წარსული  
უარპყო და ხლის ძიებას შეუდგა.

დიდი მცოდნე კაცი აღმოჩნდა სვიმონ ბაადურიშვილი.  
იმას გაზეპირებული ჰქონდა ყოველი საჭირო საშუალება  
მამულის ბანქში დასაგარაუგიბლად და აკუნცრულკებული და-  
ძმა მალე შეამზადა ქალაქში წასავლელად. კუკნიანთ კარის  
მამული დაკორნილი იყო და ეს ძლიერ ადგი-  
ლებდა საქმეს. საჭირო იყო მხოლოდ სამგზავრო ფული  
და ცოტა ოდენიც სახარჯო, მანამ ქალაქში გაიჩნდნენ  
ნდობას და ბანკიდან სესხს მიიღებდნენ.

ლამისყანის მოძღვარი აქაც მფარველ ანგელოზად  
გაუჩნდათ ობლებს. იმან კვლავ გახსნა თავის დარღუბალის  
კიდობანი და დიდის „შტრაჟებით“ და დიდის სარგებლით



ნ. გოცირიძე, — ექიმ გრიშვანეკის როლში.  
(„მეზობლები“).



ნ. გოცირიძე, — პავლე მედროგეს როლში.  
(„მელანიას ოინები“).

ასე და-ძმათ ოცდა-ათი თუმნი. მანიდა თითიკოსაც, რიჩაც მექვიდრეს, რასაკირველია, ხელი მოაწერინაა თერჯ მღვდელმა კანონები საკმოდ იცოდა და თითიკო უ საიმედო გადამხ დელა მიაჩნდა.

ასე გააჩარხა საქმე და ერთი კვირის შემდეგ ანიკო— ვი სვიმონ ბაადურიშვილთან ერთად ქალაქისკენ გაემ-ჭრნენ. იქ წინამდლარმა ბალდები დააყენა ერთერთ მიუ- ბულ „გოსტინიცაში“, თითონაც იმათ გვერდით დაიჭი- თთახი და ჟეულგა საქმეს.

ბაადურიშვილს გამოვლილი ჰქონდა ის გზა თელილი, მელიც ჩვენმა მაღალწოდების ჩამომავალთ გამოიარეს. კირავებულის მამულით ქეიფი, ფარფაში, ქალაქის სია- ვნებით დატკბობა და ამ დატკბობაზე მამა პაპეულის აღ- ლ-მამულის გადაგება.

დიდი ხანია სვიმონმა დაპარაზა მშვენიერი მამული და არჩა იმას სოფელ სარკინში მარტოდ-მარტო ორ-სართუ- ლიანი დიდი ქვითკირის სასახლე, ნახევარზე კერ-ჩამონ- რეული და სახალის წინ გაშლილი გავერანებული, ტალა- ად ქცეული იქვე მომდინარე ნაკადულით კარის ბალი. სხვა უ ამისო ყურებს ჩამოჰყრიდა და სოფლის დუქნის წინ და დალევდა თავის უბადრუქს ცხოვრებას, მაგრამ, აკი მოგახ- სენეთ, სვიმონი ნიკიერი კაცი იყო, ცხოვრების წყურვილი და ცოდნა დიდი ჰქონდა და ის ყოველთვის ახერხებდა ეს წყურვილი მოექლა რითომე, რაიმე კაზი მიეხტია, მიეგნო იმ მუქთა წყაროსთვის, რომლის პატრონნიც თავისის ბერ- ვობით ვერ ხმარობდნენ ამ უძვდავების მომავლინებელის მდინარეებით.

ბაადურიშვილმა დიდი ამაგი დასდო ჯერ ქართულს და მერე სახელმწიფო ბანქს იმითი, რომ იქ მევრს თავის მეზობელს და მოძმეს ჩაგირავებინა მამული; ისწავლა აღ- ბულის ფულით ცხოვრება, გზა გაუხსნა ბედოვლათობის. თვის, ავემა ცივილიზაციის გემო და ამ მასწავლებლობაში თითონაც, რასაკირველია, კარგა გემრიელი ლუკმა გაიკრა.

ზოგთან ერთად ქეიფობდა, ზოგს ფულს ესესხებოდა გასა- მრჯელოში, ზოგს ქალალდში უგებდა და სხ.

ამ ბოლოს დროს ცოტა არ იყოს უკლიენტებიც შე- მოაკლდა. იგერ ორი წელიწადიდა, რაც ქალაქში აღარ ჩაუ- სეიონია, აღარ გამოკლაკილა მშვენიერ ჩოხა-შარვალ-ში- ნელში, აღარ გაუახლებია თავისი ცოტად შეხუნებული ოქროს ფერი კალმუხის ქუდი, არ დაუჯილდოვებია პოლუ- იმპერიალებით მეფის ტონე „ვანკა — სუეკები“ და „გრანდ- იტელის“ ლაქები, რამელნიც იმას კნიაზ „რიშეზს“ უძა- ლნენ და ბაშმაკებს ფრაკის კალთით უშენდნენ. აღარ დამ- ტკბარა ორთა-ჭალის ბალებში სარწყავ ჩარხების ჭიილთან შეზევებულ დუდუკის შმით და ცოტა არ იყოს მას გამო, ამის მუდამ მხიარულს, ამაყს, გამბედავს შეხედულობას, ლი- ლი გაუხუნდა. მაგრამ, მაინც სვიმონი საკმოდ მთაბეჭ- დოლებას ახდენს უკლიაზე და ჩვენ საწყალ ბლაზტებზე ხომ სწორედ სასწაულთ-ბოქმელი აღმოჩნდა.

ისინი ისე მიენდვნენ, ისე შეიყვარეს, ისე შეითვისეს, რომ იმის დაუკითხავათ ნაბიჯს ვერ გადასდგამდნენ.


— ბიძია, სირცხვილი ხომ არ იქნება, ეხლა რომ ზავი ლექიანი მოვისხნა შლიაბაზე? ეკითხება ანიკო სიმონს, ერ- თი თვის შემდეგ — მართალია ჯერ ექვსი თვის მეტი არ არის, რაც „პაპაშა“ მოკვდა, მაგრამ იქ ვინ იცის? ან ვის ახსოვს იმისი სიკვდილის დრო!

— რასაკვირველია? ეუბნევა „ბიძია“ ანიკოს. — ვინ დასდევს, ან შენ თითონ რას დასდევ, ჩემო ცუგრუმელავ; მოისხნა, ზავი გადააგდე და თეთრი ვალი მოიხივე. თეთ- რი უფრო მოუხდება შენ გარდისუებრ ლოყებს.

— ბორდოს ფერი ჩოხა-ახალუხი მომწონს, მაგრამ მრცვენიან, ჯერ წელიწადი ხომ არ არის მამის სიკვდილის შემდეგ. — ბრძიასვე ეუბნევა და რჩევას სოხოვს ვანიკო.

— ყუშა, გოლუბიჩე! რაც მოგწონს ის ჩაიცვი! ხვალ- ვე წავიდეთ ბერუ მკერვალთან და ბორდოს ფერები შეუ- კვეთოთ. კომუ ნაკო დასი! იქ, დიდ ქალაქში უველა თა- ვისითვის სცხოვრობს, მაგგვარ წვილმანს უურადლებას ვინ მიაქცევს.

— საღამოზე, ხომ გახსოვთ, დიდი პიკნიკია „კრუ- უკეში“, ბაღანებო? რას იტყვით, ხომ მოხვალთ? თითქო ბრძანებით და თითქო კითხვით, ეუბნევა ბიძია და-ძმის და



ნ. გოცირიძე, — ერთის როლში („მეფე“).

თან ჯიბილან ბრლეთებს იღებს და ხელში აჩერებს: — ცოტა  
ძეიზია, კაცის. თავზე რვა მანათი და ქალზე სამი, მაგრამ  
უნდა იცოდეთ: რა კომპანია იქმნება! რა გვარი მორთულო-  
ბა, რა საჭმლები! ღვინის მაგივრად შამპანური! „შამპანსკი“  
გესმის, ვანუშკელა, „შამპანსკი“ და თან ხარხარით გვერდ-  
ში უღრღინებს „ბიძია“ ვანუ კელას და ინუშკელას თვალს  
ჩიუკრივს. — მხოლოდ ერთის პირობით, ჰერ უნდა მიმიწვი-  
ოთ. მე ყველას გადაცნობთ, ყველასთან წარგადგენთ. დია-  
სახლი: — კნეინა ნუნუს, იმის ქმარს, გენერალ ლავრენტის  
და ბევრს სხვა და სხვა წარჩინებულ პირებს.

— ბიძა ჩემ! როგორ არა გრცევენიანთ, რომ ძანებთ:  
„უნდა მეც დაიპატიორით? — განა ჩენ უთქვენოთ წაგვესვლებ-  
ბა საღმე? უთქვენოთ ლუკმა ჩაგვიგა პირში! განა თქვენ  
არა ხერთ ჩენი წინამდებარი, ადამინგმში გამრევი? იმ  
დღეს ჩენ ლოებში კნიაზი ნიკოლინკა შემოიყანეთ, ის  
რომ ხმა მაღლა მელიაბრაკებოდა და იცინოდა, გარშემო  
მსხლომ გასათხოვარი ქალები შეტრით იხოცებოდნენ, ლიკ-  
ლიკებს ანიკო. ვანიკოც, რასაკეირველია, თვალებში შეჭ-  
ყურებს ბრძის და გაოცებულია იმისის ცხოვრების ცოდნით,  
გემოვნებით, ბედნიერების წყურვილით, ქეიფობის დიაფალ  
მოწყობით და აღტაცებით ჩუბნევი! — ოხ, რა დრო გახატა-  
რეთ, რა დრო კნიაზ რევაზთან! რა ქეიფი იყო! შადრევანი  
ჭითელის ლვინისა, გაჩირალდნებულ ზალაში, სწორედ  
ზოაპარს ჰგავდა! მერე იქიდან ლამზე ეტლებით მოვრალი კამ-  
პანის მოგზაურება, გზაში სიცილი, ხარხარი, ოხუნჯობა!  
თავის დღეში არ დაბავიშვდება! სუყველაფერი-კი სულ შე-  
ნი მოგონილი, შენი გაწყობილი იყო. ბოჩკით მოტანილმა  
ცორებაობა მურწამ ისეთი ეფექტი მოახდინა მასპინძელზე,  
რომ კინაღამ ლვინოში არ ჩაგვახრჩო, აღტაცებით ხვისეინებს  
განო.

— ამაღამველი პიკნიკი შესაბიშვნავია. გამოჩენილი ორატორი — დეფოკატი პიტრე იქმნება ტოლუბაშალ, რა „რეჩებს“ იტყვის, რა გვარ ჩაირცხავებს, ჩასწმახნის სიტყვებს, გრძნობებს, შესახვეს ქვას, ლორსს ქალებს... ერთი უნდა წაუჩერჩეულო იმას და ჩვენი ანიკოს სადღეგრძელო დიდის ხმაურობრთ დავილევინო. ერთი ორი თბილი სიტყვა ვათქვეუნო, ტრაბახნბეს ქვიფით წაქეჭებული სციმონია.

— ლილი ამბავი იმოდენა ხალხში ხაზ-გასმით საღაე გრძელოს დალევა! სუკველანი დაკვირვებით დაუწყებენ ყარჩებას ჩეინ გარდის კონას...

— ბიძია, ბიძია რას ბძანებთ, რას? რა ლორსი ვარჩე  
სირცხველით კიდევ გაფქრები და მართლაც წინდაწინვე  
სირცხველით წითლება ანიურ და თან სიხარულით ეგსება  
გული, რომ წარმოიდგენს თავის თავს საზოგადოების ყურად-  
ღებით გაბრწყინვალებულს, გამთბარს, აღტაცებულს... — მგ  
დარცხვენაც უფრო დაგძმვენებს და ყველის უფრო მოი-  
წონები! მე ვრცი როგორ შთაბეჭდილებასაც მოახდენს შენი  
გაწითლება, თვალების ძირს დაშვება, გულ-ძკრის ასვლა  
დასვლა! გაძოცდირის ლოველისის გრძნობით აგრძელებს  
სვიმონი ანიურს აღგზნებას. — მერე შენი ძმის გაცნობასაც  
მოინდომებენ. მერე მოგიწვევენ და ასე გახდებით წევრე-  
ბიდ მაღალი საზოგადოებისა.

— თქ, პიძიაჯან, რა კარგი ხარ, რა ჭკვიანი ხარ! შენ  
რო გუბერნატორი ყოფილიყავ, რა რიგ მოაწყობდი ქვეყ-  
ნის საშემობებს!

— ეხ, ეხ! ამოიოხრა სვიმონმა.—იქნება, მართლაც  
გუბგრნატორიც კყოფილვიყავ, მაგრამ უსწავლელობამ გზა  
შემიკრდა. როცა სწავლის დრო იყო, ვცულლუტობდი და  
როცა გონს მოველ მაშინ გვიან-და იყო და ხელთ მარტო  
ცულლუტება-და შემჩრა ცხოვრების მიზნად. ეს უკანასკნელი  
სიტყვები უფრო თავისთვის სთქვა სვიმონმა, რადგან  
იმან ძლიერ კარგად იცოდა, რომ ეს ბლარტები ამ უკანას-  
კნელ სიმწარი თქმულის მნიშვნელობას ვერ მიხვდებადნენ.

საზოგადოდ სვიმნი კარგად ხელავდა და გრძნობდა  
თავისის ფუჭის ცხოვრების სიღარევირეს, მაგრამ სხვა გზას  
პოვნა იმის ძალა-ლონებს აღემატებოდა და ეს შეუწყვეტლივ  
მიღიოდა, მიღიოდა იქამდე, ჩოდესაც იმის წინ თვალ-წაულ  
წვდინელი უფსკრული გაიხსნებოდა და ამისი ამათ ცხოვრებ  
ბა შეი ჩაინთებოდა.

ერთი წამის შეფიქრების შემდეგ, სკომონმა დავით-გიორგ  
ნია, ჩავი ფიქრები უკუ აგლო და ულვაშებზე ხელი გადას-  
ვა, კეპლუცად გადაიგრიხა, წელზე ქამარი ; აი-წორი, ქუდი  
კოხტურად გვერდზე მოილო და თითქმის უზრუნველყად უთ-  
ხრა და-ძმას :—მაშ მზად იყავით. ბილეთების ფსიც მზად  
გქონდეთ. ისე სხვა სახარჯიც დაგჭირდებათ. იქ წამაზი ქა-  
ლები ჯვარილებს პყიდიან, კამფეტებს, შამპანუს : ყველას  
უნდა პატივისცეთ, რომ ყველასაგან შენიშვნულებისარჩეთ...  
ვაშ ასე, ჩემო ბაღანეებო, ცხ.აზე შემოგვილით დ წავიდეთ.

11

„კურუეკის“ ზალები გაჩაღებულია ელექტრინით. აუ-  
არგბელი ხალხის ტალღა მიდის და მოლის. ჩოხებ, სეროფ-  
კები, ფრავები, მუნდირები, ალისფერი, პირისფერო თეთრი,  
ლავარდი ფერის კაბები მშვენიერ თაიღულს წარმადგენერ  
კაცთა კრებისას. ამოდენა ხალხი ერთმანეთში ირა, ხმაუ-  
რობს, საერთო გუგუნი გაისმის. აი ხოროდან მისმა სა-  
ბალო მუსიკის მწყობრი გრიალი. ხალხი შესდგა, ედლებს  
მიეკრა, ზალის თავ-ბოლოს მოთავსებულ ოთხებ გაიწია  
და შეა ზალაში დარჩენილ ფართო ალაგზე მოკვავენი  
დაბზრისლიდნენ და მხედართა დეზების წყაპუნი მუსიკას  
ტემპს შეუხამდა.

საღამოს დიასხელისი კნ. ნუნე, ძალზე მომწებული „უშვენიერება“, პარის ფერ გაზის კაბით, დაფრიალს. ხან აქ არის, ხან იქ. ყველას ულიმის, კომპლიმენტებს ბნევა, უქებს მორთულობას ქალებს, ვაჟებაცებს სამხარული ახალისებს, ჯიბე სქელებს შამპანურით უმასპინძლდება თან ეშმაკურად თვალებს უკრუტავს, მელას-ვით ელამუნებ შუალამე გადასულია. მხარულება უმაღლეს წერტილიდასული. ცეკვა, ლეკური, კვლავ ცეკვა და ლეკურიაციილი, ხარხი, ტრფიალებაა გამეცებული.

ვანიკო და ანიკო კი ინდაურებიყით ცხვირ-ლებუ-  
ლები დადიან ამ აღფრთოვანებულ ხალხში და აქტიონ  
დაროურობანებენ, ეძებენ თავიანთ წანამძღოლს დვერ  
ჰეოვებენ.

— რა გვიყო, ბიძამ, რა გვიყო?! მეასელ მევა  
ანიკო ვანიკოს.

— რეგბის კი გვპირდებოდა, რეგბი! თითქმის ტირი  
რბასონხებს ვანი ვა ანი ვა.

საქმე იმაშია, რომ ბიძიამ „კრუელუში“ შემოსვლის ა, ესენი უპატრონოდ მიატოვა და ქალალდის თამაშში გაეს. სკიმონი ბუფეტში ვანიკოს ხუთ-ოუმნიანის დასახურდად შეგრძნდა, იქ ნაცნობ კომპანიას წააწყდა და მიწვევაზე ესტრიბარი აღარ გაიტეხა და სხვის ფულით ი სცადა. და შტოში გაება. ჯერ მოიგო, მერე წააგო და ხუთს თუმანს სხვა ხუთიც გადაარანა და საქმის გასას რებოდ ქალალის რაღაცნარად ცოდილი დაუწყო.

— კნიაზო, შენ ქაღალდს ნიშნავ! შეჰყვირა სციმ  
მოპირდაპირებ და ხელზე ხელი დაჰკრა. ქაღალდუბი სტო  
ზე გაითანარა და ცულლუტობა ჟეველისთვის აშეარად  
მოჩნდა. სფიმონი წამით შეკრთა, გაფიროდა... შემდეგ  
ელოში სწერდა თავის შეურაცმულელს და ცხვირპირ  
მუშტი ჩატარდა. საშინელი აყალ-მყალი ასტყდა. ხმაურიობ  
ყვირილი. სწორედ ამ დროს, როდესაც ვანიკო და ანიკე  
ბევრის მოლოდინით დაღალულ-დაქანცულნი და ბიძია  
საქციელით აღმუროთებული მიუჯაღოვდნენ „კრუელებას“ სასა  
დილო თათხს, ზალაში უცებ მუზეკის ხმა შესწყდა და მკა  
ფიოდ გაისმა სციმონის გახრინწიანებული ხმა: „ხვალ დუღლ  
ში გაგისწორდები“!.. და ივისი მოპირდაპირის მკაცრ  
პასუხის: „ქართვებთან დუღლში არ გამოიდიან“...

— რაღაც ამბავია! გულის კანკალით შეჰყვირა ან-  
კომ და ვანიკოს ხელზე ხელი წავლო. — უშველე ბიძიას,  
რაღაც გაჭირვებაშია, უშველე; გენაცვალე...

(ପାଶାଶର୍ମୀଙ୍କ ନେତ୍ରବିଦ୍ୟା)

୬୯. ଗାନ୍ଧାରୀଶ୍ଵରିଲୋକା.

